ჭკვიანი მანქანა

ალბათ, უკვე იცი, რატომ ჰქვია რობოტს ჭკვიანი მანქანა. წაიკითხე ტექსტი და გაიგე მეტი მისი შესაძლებლობების შესახებ.

რობოტი ჭკვიანი მანქანაა. იგი ბევრ დავალებას ასრულებს. ამ დავალებებს შორის ზოგი ძალიან **სახიფათოა** ადამიანისთვის. ზოგი კი ისეთი რთულია, რომ მათ ადამიანი მარტო **ვერ გაართმევს თავს.** რობოტს კიდევ ერთი თვისება აქვს – ის არ იღლება. რაც მთავარია, შეცდომას არ უშვებს. ამაში თავისი „ტვინი“ ეხმარება.

რობოტს სამი **მთავარი** ნაწილი აქვს. კონტროლერი – ეს რობოტის „ტვინია“. სენსორები რობოტს გარე სამყაროს შესახებ აწვდის ინფორმაციას. ეფექტორები კი რობოტის ხელებია. ზოგ რობოტს კამერის ,,თვალები“ და მიკროფონის „ყურებიც“ აქვს. ამ ჭკვიანმა მანქანამ მუშაობა რომ შეძლოს, ბევრი ბატარეა და ელემენტი სჭირდება.

რობოტს ხშირად ქარხანაში „ამუშავებენ“. იქ აძლევენ საქმეს, რომელიც ერთი და იმავე მოძრაობის გამეორებას ითხოვს. ეს ზოგჯერ 24 საათს გრძელდება ხოლმე. ამის გაკეთება კი ადამიანის ძალას აღემატება.

გსმენია რობოტი ტრანსფორმერის შესახებ? მას შეუძლია ჯერ საკუთარი თავი აიგოს. შემდეგ დავალება შეასრულოს. ბოლოს, საქმეს რომ **მორჩება**, თვითონ დაიშალოს, დადნეს. მისგან დარჩენილ პლასტმასს კი სხვა რობოტის ასაწყობად იყენებენ.

ზოგი რობოტი თვითონ ატარებს ცდებს. ასეთ რობოტებს ამოცანის შესრულების ახალი გზების მონახვა შეუძლიათ.

ამბობენ, რომ მალე რობოტს ბევრი ადამიანი შეიძენს. უკვე არსებობს ისეთი რობოტი, რომელიც ოთახში დადის. ის მტვერსა და ჭუჭყს აშორებს იატაკს.

ახლა მეცნიერები უფრო ჭკვიანი რობოტის შექმნას ცდილობენ. ის ბევრად რთულ დავალებას შეასრულებს და ძალიან დაგვეხმარება.

რა გაიგე ახალი ამ ტექსტიდან რობოტის შესახებ?

კომპონენტი: ბი ზეზი და შედეგი, **დონე:** 3.2

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რატომ არის რობოტი ჭკვიანი მანქანა?

ა) მას სჭირდება ბატარეა და ელემენტები.

ბ) მას შეუძლია ადამიანის დავალების შესრულება.

გ) მას აქვს ვიდეოკამერის ,,თვალები".

2 რობოტს არ უჭირს რთული დავალების შესრულება, რადგან:

ა) არასოდეს იღლება.

ბ) აქვს სენსორები.

გ) შეუძლია გადაადგილება.

3 მას შემდეგ, რაც ტრანსფორმერი საჭირო ამოცანას შეასრულებს:

ა) თვითონ იშლება და დნება.

ბ) ისევ აგრძელებს მუშაობას.

გ) სხვა რობოტს აწყობს.

4 ტექსტში *არ არის* საუბარი იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ იყენებენ ნარჩენ პლასტმასს რობოტის ასაწყობად.

ბ) რატომ შექმნეს მეცნიერებმა ბევრნაირი რობოტი.

გ) როგორი სამუშაოსთვის იყენებენ რობოტებს ქარხნები.

5 ტექსტის ძირითადი მიზანია გააცნოს მკითხველს:

ა) რობოტის მთავარი დანიშნულება.

ბ) რობოტის სენსორების დანიშნულება.

გ) რობოტი ტრანსფორმერის დანიშნულება.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. საქმეს მარტო **თავს ვერ გაართმევს.**

   ა) ვერ დაიწყებს. ბ) ვერ მოერევა. გ) ვერ მოიფიქრებს.

2. ზოგი სამუშაო ძალიან **სახიფათოა** ადამიანისათვის.

   ა) რთულია. ბ) საშიშია. გ) საჭიროა.

3. რობოტს სამი **მთავარი** ნაწილი აქვს.

   ა) ახალი. ბ) ძირითადი. გ) ძლიერი.

4. რობოტი საქმეს **მორჩება**.

   ა) დაასრულებს. ბ) გადადებს. გ) მოიშორებს.

2 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

აღემატება	იქანცება
ილლება	აშენებს
აგებს	აჭარბებს

▶▶▶ გრამატიკა

1 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ *თითონ.*	☐ *თვითონ.*
1.	☐ ბევრი რობოტი.	☐ ბევრი რობოტები.
2.	☐ ახალ გზების.	☐ ახალი გზების.
3.	☐ იმავე მოძრაობას.	☐ იგივე მოძრაობას.
4.	☐ ჭირდება.	☐ სჭირდება.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

რობოტი ---------- სამუშაოს ასრულებს. *(ერთი და იგივე / ერთი და იმავე)*

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

3 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. დარჩენილ *(პლასტმასი)* ---------- სხვა რობოტის ასაწყობად იყენებენ.
2. ზოგ რობოტს *(მტვერი)* ---------- აღება შეუძლია.

წერა

1 ტექსტის მიხედვით დაწერე რობოტის ყველა თვისება და შესაძლებლობა.



2 წარმოიდგინე, რომ შენ შექმენი რობოტი. აღწერე იგი. ჩამოთვალე მისი ყველა საქმიანობა. დაწერე, რით სჯობს ის სხვა რობოტებს. დახატე შენი რობოტი. ისრებითა და წარწერებით მიუთითე, რომელ ნაწილს რა ჰქვია.

LIVEWORKSHEETS